ეს მატჩიც მოგებულია

კუიბიშევი. “დინამოს” სტადიონი. 31 ოქტომბერი.

“კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) - “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:0).

“დინამო”: ს. კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ა. კოტრიკაძე, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე (გაგნიძე), მესხი.

“კრილია სოვეტოვი”: კარასევი, მაზეპოვი, კოლცოვი, მაქსიმოვი, ?ლკოვი, კირში, რედკინი, ფედოროვი (დეინეკინი), კაზაკოვი, ბრედ??, ჰუსაინოვი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

გუშინ, მატჩის დამთავრების შემდეგ ჩვენი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა კუიბიშევის ცენტრალურ სასტუმროს, სადაც გაჩერებული არიან თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები.

პირველად ტელეფონთან მოვიდა გუნდის მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი. აი რა გადმოგვცა მან: ჩვენ კარგად ვიცოდით, თუ რა რთული ამოცანა იდგა ჩვენს წინაშე ჩემპიონატის ამ უკანასკნელ მატჩში. მართალია, “კრილია სოვეტოვი” არ იდგა ისეთი უკიდურესი აუცილებლობის წინაშე, როგორც თბილისის “დინამო”, ვინაიდან ვოლგელებს მომავალი წლისათვის “ა” კლასში მონაწილეობა გარანტირებული აქვთ, ხოლო სხვა პრეტენზიები დღეისათვის მათ არც გააჩნიათ, მაგრამ კუიბიშეველი სპორტის მოყვარულები მეტად მტკივნეულად განიცდიდნენ ბოლო მატჩებში განცდილ დამარცხებებს და ერთგვარი რეაბილიტაცია სურდათ მოეხდინათ 22-ე შეხვედრის მოგებით.

დინამოელებს არჩევანი არა ჰქონდათ. 2 ქულა საჭირო იყო, როგორც არასდროს.

ჩვენი გეგმა წარმატებით იქნა სისრულეში მოყვანილი. ხაზი უნდა გაესვას დაცვის მოფიქრებულ, შეთანხმებულ მოქმედებას, რომელიც კუიბიშევის თავდამსხმელების თითოეული კონტრშეტევის მოგერიებას აწარმოებდა სწრაფად, ენერგიულად და ყოველ ბურთს ზუსტი მისამართით აგზავნიდა წინ, ახალი შეტევის დასაწყებად.

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ - 0:0.

მაგრამ შედეგი მიღწეულ იქნა მეორე ტაიმის დასაწყისშივე. მე-6 წუთზე კალოევმა შეუცდომლად გამოიყენა მარცხენა ფრთიდან მოწოდებული ბურთი და თავით გაგზავნა იგი კარში - 1:0 მე-12 წუთზე “კრილია სოვეტოვის” კართან აუწერელი არეულობა შეიქმნა, მცველებმა თითქოს მოიგერიეს კიდეც ბურთი, მაგრამ შეტევაში დაუყოვნებლივ ჩაება ზეინკლიშვილი და შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა მეორე გოლი - 2:0.

აი, ამ მძიმე მომენტში კუიბიშეველებმა შეძლეს საფუძვლიანი გარდატეხა შეეტანათ თამაშში. გუნდი საოცარი ძალით ამოქმედდა. ეს არ იყო მეთოდურად ორგანიზებული იერიში, რომელიც თანდათან ვითარდებოდა და ნელ-ნელა აღწევდა კულმინაციას.

ჩვენ იძულებული შევიქენით სასწრაფოდ უკან დაგვეწია იამანიძე, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა. დაცვის დასახმარებლად დაიხიეს შუამარბებმა და კალოევმაც

კი. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო ს. კოტრიკაძემ, რომელიც თითქმის ყოველ წუთს ებმებოდა თამაშში.

“კრილია სოვეტოვის” ერთ-ერთი ასეთი შეტევა თავური დარტყმით დაამთავრა ჰუსაინოვმა - 1:2. შეიქმნა უაღრესად დაძაბული მდგომარეობა ჩვენი გუნდისათვის, მაგრამ მით უფრო სასიხარულოა, რომ დინამოელებმა შეძლეს ამ შტურმის მოგერიება და კარის უვნებელყოფა. დასასრულისათვის თბილისელებმა, როგორც იქნა, გაათანაბრეს მდგომარეობა, ხოლო ბოლო 5 წუთის განმავლობაში თამაში კვალავ მასპინძელთა კართან გადავიდა. მათი ძალები უკვე ამოწურული იყო. დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ნ. ჩხატარაშვილის შემდეგ დაგველაპარაკა ჯ. ზეინკლიშვილი:

- დავიღალეთ, ძალზე დავიღალეთ, მაგრამ, მგონი, ჩვენი სიტყვა შევუსრულეთ თბილისის “დინამოს” გულშემატკივრებს!

დინამოელთა ნახევარმცველი მართალი იყო: გუნდის ყოველმა წევრმა ვაჟკაცურად შეასრულა თავისი მოვალეობა!

კუიბიშევის “კრილია სოვეტოვის” და თბილისის “დინამოს” დუბლშემადგენლობათა მატჩი შედგება დღეს, 1 ნოემბერს.

“ლელო”, 1 ნოემბერი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან”